გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 77
(11 636)

4 - 7 ოქტომბერი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან






## 50 წლის წინათ საქართველოს სპორტსმენებმა პირველად იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში

მაქვს პატივი გულწრფელად მოგილოცოთ ყველა თაობის სპორტსმენს, მწვრთნელს, სპორტის მუშაკს, სპორტულ ჟურნალისტსა და გულშემატკივარს საქართველოს სპორტის დღე.

დაე ყოველი დღე გამარჯვებებით ამაღლებული ყოფილიყოს, დიდხანს და მრავალჯერ განგვეცადოს საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს დროშის აღმართვით მონიჭებული სიხარული.

დიდი სიამაყით მინდა გავიხსენო ყველა ოლიმპიელი, რომლებმაც 50 წლის მანძილზე ღირსეულად წარმოაჩინეს ჩვენი ქვეყანა. ჩვენდა სასიხარულოდ, ისინი ბევრნი არიან. ვულოცავ მათ საიუბილეო თარიღს – ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის 50 წლისთავს.

იმედი მაქვს და მჯერა, რომ დღევანდელი და მომავალი თაობები ღირსეულად გააგრძელებენ იმ დიდ სპორტულ ტრადიციებს, რაც დღემდე მოიტანეს ჩვენმა თანამემამულეებმა.

აქვე მინდა ყველას მივულოცო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების დღე.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

## დღეს ვიზეიმებთ!..

4 ოქტომბერი არც „ქართული სპორტის დღეა“ და არც 50 წლის წინანდელი ოლიმპიური თამაშები დამთავრებულა ამ დღეს ჰელსინკში. „ქართული სპორტის დღე“ 1997 წელს დაწესდა და ოფიციალურად აღინიშნება ოქტომბრის ყოველ პირველ კვირადღეს. ეს კია, ამ დღის დაწესება დაუკავშირდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების თარიღს, 6 ოქტომბერს. ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 50 წელი ზუსტად ამ ცოტა ხნის წინათ, 19 ივლისიდან 3 აგვისტოს პერიოდში შესრულდა, მაგრამ მისი საზეიმოდ აღნიშვნა 4 ოქტომბრისთვის გადაწყდა. ამ საკითხზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ გახშირდა დაუზუსტებელი ინფორმაციები.

მოკლედ, დღეს, 4 ოქტომბერს, დიდი სპორტული დღესასწაულია საქართველოში. დილიდან ვეტერანი და ახალი თაობის სპორტსმენები, სპეციალისტები შეიკრიბებიან სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც მათ სახელმწიფო ჯილდოებს გადასცემენ. შთამბეჭდავ ღონისძიებებს გეგმავენ სეოკ-ი და ოლიმპიური ფონდი. ჩამოვიდნენ სტუმრები, როგორც ყოფილი სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, ისე უცხოეთიდან. კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელიც, რაღა თქმა უნდა, მრავალფეროვანია, გამოვყოფდით რამდენიმეს. ესაა სეოკ-ის შენობაში ოლიმპიურ ჩემპიონთა სტენდის გახსნა, ნუგზარ ასათიანისა და ავთანდილ ციბაძის საცხოვრებელ კორპუსებზე მემორიალური დაფების გახსნა, სტუმრების შეხვედრები ხელისუფლებისა და სპორტის ხელმძღვანელებთან. ზეიმის ეპიცენტრი კი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი იქნება. ყურადღების ცენტრში, რაღა თქმა უნდა, უპირველესად იქნებიან 1952 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, პრიზიორები და მონაწილენი. პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას, ვინც ამ დღეს ვერ მოესწრო.

შევახსენებთ ჩვენს პირველ ოლიმპიელებს. ჩემპიონები: დავით ციმაკურიძე (ჭიდაობა), მზია ჯუღელი (ტანვარჯიში), რაფაელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა); ვერცხლის მედალოსნები: მზია ჯუღელი, ლევან სანაძე (მძლეოსნობა), ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია (ორივე – კალათბურთი); ბრინჯაოს მედალოსნები: ნინო დუმბაძე, ნადეჟდა ხნიკინა – დვალიშვილი (ორივე – მძლესონობა); მონაწილეობდნენ აგრეთვე: ელენე გოკიელი (მძლეოსნობა), ოთარ დადუნაშვილი (ველო), ვლადიმერ ლავრინენკო (ცურვა), აკაკი მეიფარიანი (ფარიკაობა), ავთანდილ ღოღობერიძე (ფეხბურთი), ავთანდილ ჭკუასელი (ფეხბურთი).

## მილოცვები

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის საიუბილეო 50 წლისთავს და ამ თამაშებში ოქროს მედლის მოპოვებას ულოცავს ჩვენი ქვეყნიდან პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს ძალოსნობაში რაფაელ ჩიმიშკიანს.

* **

„ლელოს“ რედაქცია, ამ გაზეთის ყველა თაობის ჟურნალისტთა სახელით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის 50 წლისთავს ულოცავს საქართველოდან ოლიმპიურ ჩემპიონებს, პრიზიორებს, ყველა ოლიმპიელს, მათ მემკვიდრეებს, სპეციალისტებს, ვისაც თავდადებით უღვაწია და ილვწის ქართული სპორტის სადიდებლად.

„ლელოს“ რედაქცია.

**უეფას თასი**

# რასაც ამბობდნენ, თურმე ჭორია, ძველ „დინამომდე“ კიდევ შორია...

ევროპული ფეხბურთის გრანდის „ლივერპულის“ ბრწყინვალედ დამარცხების 23 წლისთავზე, გუშინ, თბილისის „დინამომ“ უეფას თასის გათამაშების პირველი ეტაპის განმეორებით მატჩში ჩეხურ „სლოვანს“ უმასპინძლა. შეხვედრას წინ უძღოდა დიდი აჟიოტაჟი. რაც, ფაქტობრივად, ივო შუშაკისა და მისი შეგირდების ორი კვირის წინ ლიბერეცში დამაიმედებელი თამაშის გამოძახილი იყო.



იყო იმედი იმისა, რომ ჩვენი გუნდი წარმატებით გადალახავდა

**პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი.**
3 ოქტომბერი. თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი 40.000 მაყურებელი.
**დინამო (თბილისი) – სლოვანი (ლიბერეცი) 0-1; (2-3)**
*დინამო:* გვარამაძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, გოგობერიშვილი, კარლოსი, სახვაძე (ი. სამხარაძე 82), ბურდული, ანჩაბაძე, დარასელია, ახალაია (გ. მიქაძე 72).
*სლოვანი:* კინსკი, ჩაპეკი (ანჩიჩი 61), ზბონჩაკი, ნეზმარი (ბლახა 89), შლეპიჩკა (ზაპოტოჩნი 79), პოლენაკი, პოლაკი, იოჰანა, ლუკაში, იანუ, პილნი.
*გოლი:* 0-1 ზბონჩაკი (63).
პენალტი ვერ გაიტანა ბურდულმა (90)
*გააფრთხილეს:* შლეპიჩკა, პოლაკი, პილნი.
*მსაჯები:* რ. ლაიუკსი (ლატვია), ს. ბრაგა, ი. პუკიანსი, ა. სიპაილო (ყველა – ლატვია)
*მატჩის დელეგატი:* მ. კაზანჯიოღლუ (თურქეთი).

იხ. მე-3 გვ.

# მსოფლიო საფრენბურთო სამყაროში ჩვენი კაცი გვყავს

## ხომ არ მივუბრუნდეთ წეროვანს და ჯუმბერ პატიაშვილის იდეას?

მსოფლიოში ყველაზე მასობრივი სპორტის სახეობა ფრენბურთი, რომელიც დედამიწის ზურგზე 217 ქვეყანაშია განვითარებული, საქართველოშიც განიცდის აღმავლობას. ხოლო თუ იმასაც ვიტყვით, რომ ჩვენ ოლიმპიური ჩემპიონიც გვყავს – ვაჟა კაჭარავა, დიახაც, გვაქვს თავი მოვიწონოთ პლანეტის საფრენბურთო სამყაროში. ბოლო წლებში ქართული ფრენბურთის ავტორიტეტის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი აირჩიეს საერთაშორისო ფედერაციაში სპორტის ამ სახეობის განვითარების კომისიის წევრად ბუენოს აირესში 'გამართულ კონგრესზე. დავძენთ, რომ იგი ამ კომისიის ყველაზე ახალგაზრდა წევრია.

ყოველდღიურად ვიღებთ მასალებს ფრენბურთის შესახებ „ლელოს“ ელექტროფოსტით, რაც ფედერაციის და პირადად ლევან ახვლედიანის შუამდგომლობით განხორციელდა. უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ იმათ შორის, ვისაც მომავალ ოლიმპიურ თამაშებში საპლაჟო ფრენბურთში შეუძლია ლიცენზიის მოპოვება, საქართველოს გუნდიც მოიაზრება.

როცა სერიოზული განზრახვა გაქვს, მარტო საკუთარი თავის იმედად ვერ დარჩები, შენზე მეტი გამოცდილების მქონეთ დახმარებას თუ არ ითაკილებ, უფრო მალე წაიწევ წინ. ლევან ახვლედიანმა ორიენტირი აიღო ბრაზილიაზე, სადაც, რომ იტყვიან, მართლაც უმაღლეს დონეზეა განვითარებული საპლაჟო ფრენბურთი. თანამშრომლობა კარგად აეწყო, ლევანი პირადად ეწვია ბრაზილიას. თავის დროზე თურმე ბრაზილიელებს იაპონელებისგან მიუღიათ დახმარება. ბრაზილიელებს ეს ეამაყებათ კიდეც. თავად განსაჯეთ, ისე მყარად დადგნენ ფეხზე, წლეულს 22 საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს და 19 (!)-ში გაიმარჯვეს. ბრაზილიელები, ამერიკელებთან ერთად ოლიმპიადაზე მთავარი პრეტენდენტები არიან. სულ ათენში 24 გუნდი იასპარეზებს.

„ჩვენ დიდი შანსი გვაქვს მოვხვდეთ ოლიმპიადაზე. თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს გამოიყვანოს მაქსიმუმ ორი გუნდი. ჩვენ გვყავს ვაჟთა და ქალთა ასაკობრივი გუნდები. ახალი წლიდან, ალბათ, ერთ რჩეულ წყვილს მივავლენთ ბრაზილიაში, სადაც ახალი ცენტრის მშენებლობა სრულდება. იქაური სპეციალისტების დახმარება ჩვენს სპორტსმენებს დიდად წაადგება ოსტატობის ამაღლებაში“ – თქვა ლევან ახვლედიანმა. ზემოხსენებულ კონგრესზე გადაწყდა, რომ პლაჟის ფრენბურთში ტურნირების რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. მაგრამ დაწესდა სიმაღლის ცენზი. ვაჟებისათვის ესაა არაუმეტეს 185 სმ, ქალებისთვის – 175 სმ. იგეგმება პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება, რომლის მასპინძლობა სურს ინდონეზიას.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად კონგრესმა კვლავ რუბენ აკოსტა აირჩია. ამ კაცს (იგი თბილისშიც ნამყოფია) უდიდესი ავტორიტეტი გააჩნია. 20 წლის წინათ, როცა პირველად აირჩიეს პრეზიდენტად, ფედერაციის ანგარიშზე სულ რაღაც 100 ათასი დოლარი ირიცხებოდა, დღეს კი ფედერაციის წლიური ბიუჯეტი 200 მილიონი დოლარია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შესანიშნავი ორგანიზატორი უყურადღებოდ არ დასტოვებს საქართველოს, მით უფრო, რომ ჩვენი ფედერაციის თავკაცი სწორედ იმ კომისიაშია, რომელიც ზრუნავს მსოფლიოში ფრენბურთის განვითარებისთვის.

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა სულ ახალი შემოსული იყო ჩვენში საპლაჟო ფრენბურთი, ჯუმბერ პატიაშვილმა, რამდენიმე სპეციალისტი და „ლელოს“ წარმომადგენელი წეროვანში მიიწვია სპორტის ამ ახალი სახეობის დასანერგად კონსულტაციის მისაღებად. მაშინ მასპინძელმა ის ადგილიც გვიჩვენა, სადაც აპირებდა მოედნების გაშენებას, ქვიშის საკითხსაც აგვარებდა. მერე რა მოხდა? სამწუხაროდ, არ ვიცით, იქნებ ჩვენი ფედერაცია, მისი ახალი ხელმძღვანელობა კვლავ მიუბრუნდეს ამ საკითხს...

და ბოლოს გეტყვით, რომ ლევან ახვლედიანმა კონგრესზე წინადადება შეიტანა 2005 წელს კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდეს საქართველოსა და აზერბაიჯანში. იდეა მიიღეს, გადაწყვეტილებას კი გაისად გამოიტანენ.

იქნებ სწორედ წეროვანია ის ადგილი, სადაც კადეტები იასპარეზებენ?

თ. თომაშვილი

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში სპორტის განვითარებისა და მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ საპატიო წოდება მიანიჭა:

ნოდარ დიდიას – ფარიკაობის ფედერაციის მწვრთნელს; ჯონდო მაჭარაშვილს – თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურთან არსებული სპორტის საწყლოსნო სახეობათა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის მწვრთნელს წყალბურთში;

ბელა სითათაშვილს – ამბროლაურის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მწვრთნელს ძალოსნობაში.

იხ.მე-2 გვ.

## ოლიმპიური ექო სპორტის აკადემიაში

ოლიმპიურ თამაშებში ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში მოეწყო თავისუფალ მოჭიდავეთა ორდღიანი ტურნირი.

ვიდრე მონაწილეებს და პრიზიორებს გაგაცნობდეთ, ვიტყვით, რომ ქართული ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას. მის სპორტულ ბაზებზე, სასწავლო აუდიტორიებსა და კაბინეტებში მრავალმა სახელოვანმა ოლიმპიელმა აიმაღლა სპორტული ოსტატობა და მიიღო სპეციალური უმაღლესი განათლება. მათი სახელების ჩამოთვლაც კი დიდ სიამოვნებასა და სიამაყს მიანიჭებდა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს.

აკადემიის კურსდამთავრებულ 101 ოლიმპიელთა შორის, თხუთმეტმა 18 ოქროს მედალი მოიპოვა.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა აკადემიის სტუდენტი დავით ციმაკურიძე, რომლის სახელობის ტურნირს ატარებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია.



*კვარცხლბეკი. 50 კგ:* 1. ვალერი რიკაძე (სპ. აკადემია), 2. მურთაზ კვესაძე (ორს), 3. თენგიზ მარტყოფლიშვილი (აკად); *55 კგ:* 1. მალხაზ ქურდიანი (სტუ), 2. გიორგი დილმელაშვილი (აკად), 3. თენგიზ ნაკაშიძე (ორს); *60 კგ:* 1. კობა კაკალაძე (ორს), 2. ლევან ჩაბრაძე (აკად), 3. მალხაზ ჩარქუა (სპი); *66 კგ:* 1. კობა მაჭარაშვილი (ორს), 2. ვეფხია გრიგალაშვილი („მართვე“), 3. გიორგი ჩირიკაშვილი (თსუ); *74 კგ:* 1. გიორგი გობეჯიშვილი, 2. დავით ხარებავა, 3. ნიკო გაგნიძე (სამივე – აკადემია); *84 კგ:* 1. მიხეილ ბაგაური, 2. მალხაზ ჯორბენაძე (ორივე – აკადემია), 3. ლაშა ქეთიშვილი (აგრარ. უნივ.); *96 კგ:* 1. ბაჩანა კარანაძე (აკადემია), 2. ამირან მარკოშვილი (ორს), 3. კობა ბზიკაძე (თსუ); მძიმე: 1. დავით ოტიაშვილი (აკად), 2. კობა კერესელიძე (ორს), 3. აკაკი საბაშვილი (აკად).

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 10 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 4 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

# ღვაწლი მორაგბისა



საზოგადოებრივი აზრი შემთხვევით არ მკვიდრდება. არც ისაა უსაფუძვლო, როცა ამბობენ, რომ მორაგბეები სულიერად და ფიზიკურად გამორჩეული რაინდები არიან. სუ საქმე საქმეზე მიდგება, უამრავ გვარსაც დაასახელებს ის, ვინც კარგად იცნობს ქართველ მორაგბეთა თემს. პირადად მე, ამ წერილის ავტორს, სურვილი მაქვს დღეს ერთი ასეთი კაცი ქართველ მორაგბეთა უფროსი თაობის მართლაც სასიქადულო პიროვნება, ბატონი გიორგი ყუფარაძე წარმოგიდგინოთ. უპირველესად თავად ბატონ გიორგის მოვუხდი ბოდიშს, რომ ერთ საგაზეთო წერილში მისი მოღვაწეობის ფართო სპექტრს ვრცლად ვერ შევეხები. მოკლედ კი უთუოდ ვიტყვი: შესანიშნავი მორაგბე, შემდეგ სახელოვანი მწვრთნელი, მსაჯი, მეცნიერი, მწერალი, გამომგონებელი, ბიზნესმენი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, გენერალ — ლეიტენანტი...



გიორგი ყუფარაძე, მოთამაშე

დღეს ქართულ რაგბს თუ მთელი მსოფლიო იცნობს, ამაში პირველ გზამკვლევებთან ქაკ ასპეკიანთან, ნოდარ ყიფიანთან, გიორგი ტონიასთან, ზაურ მგელაძესთან, სერგო ხაჭაპურიძესთან და სხვებთან ერთად, უდიდესი ღვაწლი მიუძღვის გიორგი ყუფარაძეს.

გოგიმ 1961 წელს დაიწყო რაგბის თამაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ქაკ ასპეკიანთან. უმალვე აიყვანეს ნაკრებში თავდამსხმელად (შერკინებაში). „სასოფლო" უბრწყინვალესი გუნდი იყო — ძლიერი, შემოქმედებითი, უაღრესად მეგობრული — ქართული რაგბის ნაღდი ჰერკულესის სვეტი. ინსტიტუტის დირექტორი ვანო სარიშვილი ყოველმხრივ ახალისებდა თავის „არწივებს". იმავე 1961 წელს, თბილისის პირველ ოფიციალურ ჩემპიონატში, „სასოფლო" ფინალში შეხვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრებს და საპატიო მეორე ადგილზე გავიდა. შემდეგ იყო წარმატებები მოსკოვში, რიგაში, ლენინგრადში, პიატიგორსკში, მინსკში, სხვა ქალაქების სტადიონებზე. ბატონი გოგი იმავდროულად მსაჯობდა კიდეც, ამიტომ სულაც არ იყო გასაკვირი, რომ საქართველოში პირველს სწორედ მას მიენიჭა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება. წარდგენილი იყო საკავშირო კატეგორიაზე, მაგრამ საბუთები... გზაში „დაიკარგა". ასევე წარმატებული გამოდგა მისი სამწვრთნელო მოღვაწეობა. 1962 წელს თბილისში „ლოკომოტივის" გუნდი ჩამოაყალიბა, რომელმაც ოთხჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები, ერთხელ საკავშირო თასს დაეუფლა, გახდა პროფკავშირების საკავშირო პირველობის მეორე პრიზიორი, მისივე ხელმძღვანელობით 1966 წელს ქუთაისის „დინამო" (ცნობილი „სახლმშენი"), ჩამოყალიბდა, რომელიც „აიას" საბაზო გუნდად იქცა. ქუთათურებმა სამჯერ იზეიმეს სსრ კავშირის ჩემპიონობა და ორჯერ მოიპოვეს თასი. სწორედ ამიტომ ქუთაისის რაგბის ისტორიაში ოქროს ასოებითაა შესული გ. ყუფარაძის სახელი, რომელმაც მართლაც რომ სამარადჟამოდ და საფუძვლიანად დაამკვიდრა რაგბი ლელობურთის თამაშით განთქმულ კოლხურ მიწაზე. 1966 წელსვე, გ. ყუფარაძემ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აღადგინა მორაგბეთა გუნდი. ერთი წლის შემდეგ მოსკოვში სამხედრო-საჰაერო ძალების ნაკრები შექმნა. 70-იან წლებში, როცა საქართველოს რაგბის ფედერაციის ვიცე — პრეზიდენტის მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული, მისი თაოსნობით შეიქმნა ლელო — რაგბის ფედერაცია, რითაც ხაზი გაუსვა ჩვენი ეროვნული და ინგლისური სპორტის სახეობის ახლო ნათესაობას. მაშინ მიეცა სისტემური ხასიათი ლელობურთში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას, ამასთან, რაგბიც მოედო საქართველოს რეგიონებს. სწორედ მაშინ დაიწყს რაგბის თამაში ლელობურთით სახელგანთქმულ ჩოხატაურის რაიონში და აქაური გუნდი „ჯანი" ერთხელ საქართველოს პრიზიორიც გახდა.

გიორგი ყუფარაძის კიდევ ერთი დამსახურება ისაა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში სწორედ მან გახსნა რაგბის სპეციალიზაცია და ქვეყანას მოევლინენ დიპლომიანი სპეციალისტები. მანვე შეაკერინა თბილისში პირველი ბურთები და მაისურები, რომელთა დეფიციტი აშკარად აფერხებდა საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ქუთაისელებს კი რაგბის სათამაშო 120 კომპლექტი თავისი ფულით შეუძინა. ქველმოქმედება მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სულ ახლახან 20 წყვილი ბუცი შეუძინა ქუთათურთა „აიას".

მუდამ სიამოვნებას გვრის ძველი თაობის მორაგბეთა გახსენება. ახლა იგი, ჩვენი თხოვნით, ბიჭებს კიდევ ერთხელ ჩამოთვლის. ესენია: გიორგი ტონია, სერგო ხაჭაპურიძე, ძმები თამაზ და ზაურ მგელაძეები, ნოდარ ყიფიანი, ირაკლი კიზირია, ზურაბ ხარშილაძე (ვობლა), დათო კილასონია, გენა ლადუა, გია ჯაფარიძე, ვახტანგ ფეტვიაშვილი, ოლეგ ლიპარტელიანი, ავთანდილ გიორგაძე, ჩუგზარ ძაგნიძე. საუკეთესო მწვრთნელებად მიაჩნია გიორგი ტონია, ნოდარ ყიფიანი, შაკო ქურციკიძე, დუგლას კავთელაშვილი, თეიმურაზ ბენდიაშვილი.

დღეს ბატონი გიორგი მოსკოვში მოღვაწეობს, საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლობასაც ითავსებს რუსეთის ფედერაციაში.

„რაგბი იყო გატაცება და არა ჩემი ცხოვრების გზა. მე მისწრაფება ყოველთვის მეცნიერებისკენ მქონდა" — ამბობს ბატონი გიორგი, სხვათა შორის, თავისებური რეკორდსმენი — მის კალამს ეკუთვნის 13000 (!) აფორიზმი.

დღეს ბატონი გიორგი იუბილარია — დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით რაგბის ვეტერანთა კავშირმა იუბილარი ოქროს მედლით და საპატიო ჯილდოთი დააჯილდოვა რაგბში გაწეული დამსახურებისათვის.

**ზურამ (ცეზარ) დარჩია,**
სპორტის ოსტატი.



გიორგი ყუფარაძე — მწვრთნელი

*პირველი გვერდიდან*

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, სპორტის დღესთან დაკავშირებით, „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება მიანიჭა:

ვახტანგ ფოცხიშვილს – ქ. თბილისის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს სპორტის დარგში;
ზურაბ ლორთქიფანიძეს – ქ. ქუთაისის ოლიმპიური რეზერვების კრივის სპორტსკოლის დირექტორს;
თენგიზ ჩოთალიშვილს – თელავის უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგეს;
ზაურ ბზიკაძეს – ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთის სპორტსკოლის უფროს მწვრთნელს;
თენგიზ სალინაძეს – ცაგერის ბავშვთა/მოზარდთა სპორტსკოლის ფრენბურთის მწვრთნელს;
დიმიტრი ბურულიშვილს – ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა/მოზარდთა სპორტული და სამხედრო პატრიოტული აღზრდის მართვის ცენტრის მთავარ სპეციალისტს
ამირან დიასამიძეს – აჭარის ა/რ-ის ქედის რ-ნის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;
რეზო ბოლქვაძეს – ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის საჭადრაკო კლუბ „ციცინათელას" პრეზიდენტს;
ვლადიმერ ჭყონიას – აჭარის ა/რ-ის ვეტერან სპორტსმენთა და მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;
ზურამ ლურსმანიშვილს – მძლეოსნობის ბავშვთა/მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელს;
ბივი ჭლიკაძეს – ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა/მოზარდთა ტანვარჯიშის ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის დირექტორს;
ზურამ ჯინჭარაძეს – ქ. ქუთაისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა/მოზარდთა ტანვარჯიშის სახეობათა სპორტსკოლის მწვრთნელს;
გაბრიელ ბარჯაძეს – ქართული ჭიდაობის ფედერაციის თანაპრეზიდენტს;
ოთარ ხომერიკს – ქ. ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;
რამაზ თელიას – ქ. სამტრედიის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;
მიხეილ სუმბათიანს – ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორს;
იოსებ იოსელიანს – ქ. თბილისის ისნის რაიონის სპორტსკოლის დირექტორს;
ჯონი ლორიას – ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის თავისუფალი ჭიდაობის განყოფილების უფროს მწვრთნელს;
ნანი შუბლაძეს – ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის აღმზრდელს;
ნოგენ თორთლაძეს – ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა სპორტკლუბის პრეზიდენტს.

## მისამართი უცვლელი, სტატუსი ამაღლებულია...

*ბავშვთა სპორტი*

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელს, რომელიც ადრე გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატად იწოდებოდა და პირველი ასეთი სასწავლებელი იყო სსრ კავშირში, ამიერიდან ოლიმპიური მომზადების ცენტრის სტატუსიც მიენიჭა და მისდამი ინტერესი უფრო ამაღლდა. აქ ხშირად იმართება ღია პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რაც ერთგვარად მოზარდთა თითქმის მივიწყებულ რესპუბლიკურ შეჯიბრებებს გარკვეულწილად ენაცვლება. განსაკუთრებით ჭაბუკ ფალავანთა ასპარეზობები იმართება სასწავლებლის ხალიჩაზე.

ამჯერად აქ ჩატარდა ღია პირველობა მოჭიდავეთა ცნობილი აღმზრდელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ჯონი ლორიას დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ასპარეზობა 1988-90 წლებში დაბადებულ ჭაბუკთათვის თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიაც მონაწილეობდა 270-მდე მოზარდი სპორტსმენი.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: 26 კგ (მონაწილე — 21):*** 1. ოთარ გოგავა (ხონი), 2. დავით ბეზიაშვილი (ხაშური), 3. ირაკლი მაღლაკელიძე (ბაღდათი), 4. შავლეგ ყულიაშვილი (ბოლნისი); ***29 კგ (მონაწ. 24):*** 1. დიმიტრი ბასილაშვილი (კაზრეთი), 2. ნუკრი საათაშვილი (გორი), 3. გიორგი ქავზინაძე, 4. შოთა ანდრიაძე (ორივე — ხონი); ***32 კგ (მონაწ. 22):*** 1. სერგო კეღურაძე (სამტრედია), 2. ავთო ბაზალი (ყაზბეგი), 3. თენგიზ ჩოჩიშვილი, 4. სერგო ბათმანაშვილი (ორივე — გორი); ***35 კგ (მონაწ. 26):*** 1. გიორგი გელაძე (ყაზბეგი), 2. კონსტანტინე მაისურაძე (გორი), 3. გოგა ხუჭუა (ორს), 4. ვალერი კალაძე (ხონი); ***38 კგ (მონაწ. 33):*** 1. დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი), 2. შოთა ფაჩუაშვილი (ორს, ხონი), 3. გიორგი გაბისიანი (ამბროლაური), 4. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზბეგი); ***42 კგ (მონაწ. 21):*** 1. ნიკა ჩალაძე (თედ. კლ), 2. გიორგი სანოძე (ორს, ხონი), 3. მიხეილ პრელმანი (ორს), 4. შოთა ბაზალი (ყაზბეგი); ***47 კგ (მონაწ. 24):*** 1. ზვიად ბურჯალიანი (ორს), 2. თენგიზ ხუჭუა (სამტრედია), 3. გიორგი მაჭარაშვილი (თედ. კლ), 4. ნიკა რეხვიაშვილი (ორს); ***53 კგ (მონაწ. 39):*** 1. გიგა ცერცვაძე (აჭარა), 2. სელხან ჯიჯავაძე (ორს, აჭარა), 3. გოჩა ლომთათიძე (ორს), 4. შალვა მეტრეველი (ყვარელი); ***59 კგ (მონაწ. 27):*** 1. გიორგი მამიაშვილი (ხონი), 2. გელა დოლაშვილი (ყვარელი), 3. ირაკლი თევზაძე (სამტრედია), 4. ელგუჯა შარაბიძე (თედ. კლ); ***66 კგ (მონაწ. 10):*** 1. ჯონი ჯინჭარაძე (ორს, აჭარა), 2. გიორგი ჩიქოვანი („მართვე"), 3. გიორგი კიკაბიძე (თედ. კლ), 4. გოჩა ბალაძე (ორს); ***73 კგ (მონაწ. 16);*** 1. ლევან ქობულაშვილი (თედ. კლ), 2. ნიკოლოზ მოძმანაშვილი („ლოკ"), 3. კობა ბოლქვაძე, (აჭარა), 4. გიორგი ჩიკვილაძე (თედ. კლ); ***85 კგ (მონაწ. 4):*** 1. გიორგი ლონლაძე (ორს, ხაშური), 2. გოგა ლორია (სამტ.) 3. გიორგი ვეფხვაძე (ხარაგაული), 4. ზურაბ ტატულიშვილი (ყვარელი).





*სურათზე: მარცხნივ — იუბილარი ჯონი ლორია გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან; შეჯიბრების მომენტი. ფოტო რობერტ ბაგოიანისა.*

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №6 (27) ოქტომბერი, 2002 წელი


## ამჯერად თბილისი, სტამბოლი, ბუდაპეშტი, დუბლინი და მაინც - ქართველი კარატისტების კიდევ ერთი დიდი წარმატება





## საქართველოს კარატის ეროვნული ნაკრების სპონსორები ევროპის ჩემპიონატზე: "გამაბანკი" და უშიშროების სამსახური "დელტა", რომლებსაც მადლობას უხდის საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია






დიდ წარმატებას სერიოზული საფუძვლი სჭირდება, რაც საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ უკვე შექმნა.

წლევანდელი სეზონი საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ ტრიუმფით დაიწყო და ჯერ-ჯერობით ასევე აგრძელებს. ერთი თვალის გადავლებით: აგვისტოს ბოლო რიცხვებში გერმანიის ქალაქ ლუბეკში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის დიდი წარმატება ხვდათ წილად ქართველ კარატისტებს-მსოფლიო ჩემპიონობა საკუთარ სახლში წაჰგლიჯეს გერმანელებს. ეს მიღწევა კარატეს ეროვნული ფედერაციის და რა თქმა უნდა, კახა ბასილიას დიდი დამსახურებაა, მაგრამ ვისი ბრალია, რომ ჩვენი კარატისტების ნაკრების უგზოუკვლო, თავბრუდამხვევი კრუიზი, რომელიც ყველანაირად მიზანშეუწონავია... არ შეიძლება, სპორტსმენი მატარებლიდან დაღლილი, უძილო, მშიერი, პირდაპირ ტატამზე გაიყვანო და ამის შემდეგ დიდი შედეგი - ჩემპიონობა მოსთხოვო. თუმცა, ჩვენი მსოფლიო ჩემპიონებისთვის შედეგი უკვე აღარავის მოუთხოვია, თვითონ იცოდნენ, რომ ისინი ჩემპიონები უნდა გამხდარიყვნენ, საქართველო უნდა ესახელებინათ... საიდან იცოდნენ? ქართველობიდან, და რა თქმა უნდა კახა ბასილიასგან.

ასე რომ, წლევანდელი სეზონის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი წარმატებით ჩაატარა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ. ამ წარმატებაში დიდი წვლილი ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს, გიორგი ბარამიძეს, სპორტის დეპარტამენტს, თბილისის მერიას და საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრების სპონსორს, "გამაბანკს" მიუძღვის, რომელმაც, თავის მხრივ, ჩემპიონებს თავისი სახელობის სტიპენდიებიც დაუნიშნა.

წარმატებულმა დასაწყისმა და ასეთმა გაერთიანებულმა მუშაობამ თავისი ქნა და მეორე, არანაკლები ჩემპიონატიც, არანაკლები შედეგებით დაასრულა. საქართველოს კარატეს ეროვნულმა ნაკრებმა 28-29 სექტემბერს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში, ევროპის რიგით მეათე ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა ვადო კარატეში, სადაც ოცი ქვეყანა მონაწილეობდა. შეჯიბრის მონაწილეთა ასაკი 8-17 წელი იყო.

ვადო კარატეს ევროპის ჩემპიონატს საქართველოს კარატისტთა ეროვნული ნაკრების 6 კაციანი გუნდი ეწვია. ამჯერადაც, თითქმის იგივე განმეორდა - თბილისი, სტამბოლი, ბუდაპეშტი, დუბლინი, ასეთი თავბრუდამხვევი და მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ბავშვებმა ისევ, პირდაპირ ტატამზე ამოჰყვეს თავი, მაგრამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

Gammabank

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის მის საპატიო პრეზიდენტს გიორგი ბარამიძეს, სპორტის დეპარტამენტს, თბილისის მერიას, „გამაბანკს“ და ფირმა „დელტას“.



მებრძოლი სულისკვეთებამ თავისი ქნა და შედეგიც სახეზეა.

აქვე კიდევ ერთხელ ალვნიშნავ,რომ საქართველოს კარატისტთა ნაკრები ძალზედ მცირერიცხოვანი იყო, რასაც ჩვენს ფედერაციაში სპორტსმენთა ნაკლებობას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, ალბათ, ეს ფინანსურ მხარეში უნდა ვეძიოთ, თორემ ფედერაციას პროფესიონალი კარატისტები არ აკლია. ეს ფაქტი კი გასათვალისწინებელია, ყურადსალები. მაგრამ, მიუხედავად საქართველოს კარატისტთა ნაკრების მცირერიცხოვნებისა, მათ იასპარეზეს როგორც პირადულ და გუნდურ კუმიტეში, ასევე პირადულ და გუნდურ კატაშიც.

ვაჟთა შორის დაძაბულ ორთაბრძოლებში, პირადულ კუმიტეში ოქროს მედლები ლევან გორელაშვილმა და ირაკლი ტყებუჩავამ მოიპოვეს, ვერცხლს კი დავით აბრამიშვილი და დავით ტყებუჩავა დაეუფლნენ. არც გოგონებმა შეირცხვინეს თავი და ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი თამარ მახარაძემ და თათია მელუამ. სამაგიეროდ, გუნდურ კატაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი და თასი ინგლისის ნაკრებმა წაილო, სამწუხაროდ მსაჯთა არაობიექტურობის გამო.

მთავარი კი ისევ წინ არის, 14-20 ოქტომბერი და გერმანიის მსოფლიო-ჩემპიონატი, რომლისთვისაც წინასწარი სამზადისი საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ უკვე დაიწყო და არც თუ ურიგოდ. ნაკრების ძირითადი შემადგენლობა უკვე გამოკვეთილია, რომელსაც, შეიძლება, ახალი გვარებიც დაემატოს.

წერილის დასაწყისში ალვნიშნე, რომ დიდ წარმატებას სერიოზული საფუძველი უნდა მეთქი, რაც უკვე გაგვაჩნია და ამის შემდეგ მარცხზე გაფიქრებაც კი შეუძლებელია.

აქვე კიდევ ერთხელ, აუცილებლად უნდა ალინიშნოს, რომ საქართველოს კარატისტთა ნაკრების სპონსორები იყვნენ ბანკი "გამაბანკი" და უშიშროების სამსახური "დელტა".


# უშიშროების სამსახური „დელტა“

## პრეზიდენტი კახა ბასილია



საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი, პოლკოვნიკი;
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი;
მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი;
კავკასიის კაზაკთა კავშირის ატამანის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი;
მსოფლიოს ჩემპიონი კარატე-დოში;
წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფოს პირველი პირების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების პირად დაცვაში საქართველოსა და უცხოეთში;
მონაწილეობდა ცხელ წერტილებში სპეციალური ოპერაციების განხორციელე-ბაში;
დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და მედლით მხედრული მამაცობისთვის;
მიღებული აქვს ეკონომისტის და იურისტის განათლება.

### პროფესიონალთა მომზადების სპეციალური სკოლა



სკოლა „დელტა" ახორციელებს კერძო მცველის მომზადებას და გასცემს საერთაშორისო დიპლომს;

სწავლება სკოლაში ხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება.

შეისწავლება შემდეგი საგნები:
_ სამართალი;
_ სპეციალური მომზადება;
_ ტექნიკური მომზადება;
_ საცეცხლე მომზადება;
_ ფიზიკური მომზადება;
_ ხელჩართული ბრძოლა;
_ ფსიქოლოგიური მომზადება;
_ სამედიცინო მომზადება;
_ უცხო ენა;
_ ჩვენთან შეგიძლიათ გაიაროთ 4 და 6 კვირიანი სპეც-კურსები.

სწავლა მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.

სწავლა ფასიანია

სწავლის საფასური შედგება კურსის მომზადების დონიდან გამომდინარე, 200 ლარიდან ზევით.

### უშიშროების სამსახურის „დელტას" მომსახურება

უშიშროების სამსახური „დელტა" გთავაზობთ შემდეგი შემდეგი სახის დაცვას: კომპანიების ხელმძღვანელების პირადი დაცვა, ბანკების, ორგანიზაციების, საწარმოების ბიზნესმენების და მათი ოჯახის წევრების დაცვა.

ოფისების ობიექტების, ბანკების, სასაწყობო შენობების, მშენებარე ობიექტების, გასართობი კომპლექსების, ქალაქგარე სახლებისა და ობიექტების დაცვა. უშიშროების კომპლექსური მეთოდების დამუშავებით (ბანკების, სახლების, წარმოებების და ა.შ.).

**გამოიყენება სამსახურეობრივი ძაღლები**

მასიური ღონისძიებების, კონცერტების, პრეზენტაციების დაცვა;
ტვირთების გაცილება;
ბანკებისა და სავალუტო პუნქტების დაცვა;
ფიზიკური პირების დაცვა;
დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს;
ოჯახის წევრების ევაკუაცია;
კონფლიქტების განმუხტვა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით;
კომპანიის ხელმძღვანელობის და მისი ოჯახის დაცვა;
კომპანიის ხელმძღვანელების სამგზავრო მარშრუტების დამუშავება უსაფრთხოების მიზნით;
ოპერატიული რეაგირება კლიენტის თხოვნისას და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა, როდესაც კლიენტს პრობლემები აქვს არაფორმალურ დაჯგუფებასთან, ამასთანავე სწრაფი რეაგირების ჯგუფის გასვლა შემთხვევის ადგილზე დღე-ღამის განმავლობაში.

***ჩვენი მისამართია: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. № 6***
***ტელ/ფაქსი: 96-31-89***


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.**

**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი**

空手道

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ



# რასაც ამბობდნენ, თურმე ჭორია...

*(პირველი გვერდიდან)*

ამ ეტაპს. ამ იმედმა უამრავი მაყურებელი მიიყვანა გუშინდელ მატჩზე.

დიდი ხნის ნანატრ „დინამო! დინამო!"-ს გრიალში უკვე დასაწყისშივე მასპინძლებმა რეალური საგოლე მომენტი გააცუდეს: მარჯვენა ფლანგზე „დინამოს" ბრაზილიელმა ლეგიონერმა კარლოსმა კარის მიმართულებით დაარტყა, მაგრამ ბურთი ვიტალი დარასელიასთან ახლოს აღმოჩნდა, მას კი მილიმეტრები დააკლდა, რომ ბურთისთვის ზუსტი მიმართულება მიეცა. იმავე კარლოსმა კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა გულშემატკივრები: სწრაფად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და უძლიერესად დაარტყა, „სლოვანის" გოლკიპერის თავგანწირვა რომ არა, ანგარიში გაიხსნებოდა.

შუა ტაიმში სტუმრებმა ერთიორჯერ „უკბინეს" მასპინძლებს, მაგრამ კარგად ითამაშეს „დინამოს" დაცვამ და გვარამაძემ.

მოკლედ „დინამოს" თითქოს საყვედური არ ეთქმოდა, განსაკუთრებით ლადო ბურდული თამაშობდა კარგად — დაცვაში, ნახევარდაცვაში, თავდასხმაში... ჩვენების ტერიტორიული უპირატესობის ფონზე „სლოვანი" თავს მაინცდამაინც არ იწუხებდა, ფრეც აძლევდათ ხელს, დრო კი მათ სასარგებლოდ მუშაობდა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე სტუმრები გააქტიურდნენ, გოლიც გაიტანეს, თუმცა მსაჯმა წესის დარღვევა დააფიქსირა. დინამოელებს დაბნეულობა დაეტყოთ, რამდენჯერმე უაზროდ დაკარგეს ბურთი. გვარამაძემ კი რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა მოიგერია. ერთ კრიტიკულ მომენტში კი ქართველი გოლკიპერი მაინც უძლური აღმოჩნდა, როცა უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ზბონჩაკმა ანგარიში გახსნა. ამ გოლმა თბილისელებს ცივი წყალი გადაასხა.

ივო შუშაკმა მინდორზე მიქაძე და სამხარაძე გამოიყვანა, მაგრამ ეს არ იყო ის ცვლილება, რომელიც გარდატეხას შეიტანდა თამაშში.

მატჩის მიწურულს იმედი გაჩნდა, იმედი კი „სლოვანის" კარში დანიშნული პენალტი იყო, მაგრამ ლადო ბურდულმა ბურთი კარს ააცილა. ამით ყველაფერი დამთავრდა. იმედი დროსთან ერთად ამოიწურა...

თენგიზ ჩობანიძე

# სხვა მატჩების შედეგები

სარტიდი (იუგოსლავია) — **იფსვიჩი (ინგლისი)** 0-1 (1-1)
**შალკე (გერმანია)** — გომელი (ბელარუსი) 4-0 (4-1)
ქოჯაელსფორი (თურქეთი) — **ფერენცვაროში (უნგრეთი)** 0-1 (0-4)
მეტალურგი (უკრაინა) — **ლიდსი (ინგლისი)** 1-1 (0-1)
პოლონია (პოლონეთი) — **პორტო (პორტუგალია)** 2-0 (0-6)
ზენიტი (რუსეთი) — **გრასჰოპერსი (შვეიცარია)** 2-1 (1-3)
ლორიენი (საფრანგეთი) — **დენიზლისფორი (თურქეთი)** 3-1 (0-2)
**პაოკ (საბერძნეთი)** — ლეიშოეში (პორტუგალია) 4-1 (1-2)
შიროკი ბრეგი (ბოსნია) — **სპარტა (ჩეხეთი)** 0-1 (0-3)
**ვერდერი (გერმანია)** — მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) 8-0 (2-2)
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — **დინამო (ხორვატია)** 1-3 (0-6)
ცსკა (ბულგარეთი) — **ბლექბერნი (ინგლისი)** 3-3 (1-1)
ვარტექსი (ხორვატია) — **მიდტიულანდი (დანია)** 1-1 (0-1)
ჰეერენვენი (ჰოლანდია) — **ნასიონალი (რუმინეთი)** 2-0 (0-3)
სარაევო (ბოსნია-ჰერცოგოვინა) — **ბეშიქთაში (თურქეთი)** 0-5 (2-2)
**ჰაპოელი (თელავივი, ისრაელი)** — კარნტენი (ავსტრია) 0-1 (4-0)
უიპეშტი (უნგრეთი) — **პსჟ (საფრანგეთი)** 0-1 (0-3)
**ვისლა (პოლონეთი)** — პრიმორიე (სლოვენია) 6-1 (2-0)

## ეროვნული ნაკრები: თორმეტს ვწერთ, დანარჩენს ვიმახსოვრებთ...

ეროვნული ნაკრები შეიკრიბება 7 ოქტომბერს. დაბინავდება სასტუმრო საირმეში. ივარჯიშებს დიღომში. ჩივაძემ ლეგიონერებიდან გამოიძახა: კახი კალაძე (მილანი, იტალია), შოთა არველაძე (რეინჯერსი, შოტლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი შოტლანდია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი (სამივე — ფრაიბურგი, გერმანია), გოჩა ჯამარაული (მეტალურგი დონეცკი, უკრაინა), მამია ჯიქია (ამიცა, პოლონეთი) და ორი მეკარე: დავით გვარამაძე (დინამო თბ), გიორგი ლომაია (ლოკომოტივი). როგორც, ხედავთ შემადგენლობა ჯერ სრულად არ არის დასახელებული. ჩივაძე სრულ სიას რამდენიმე დღეში დაასახელებს.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ლოთარ მათეუსი მოსკოვის „სპარტაკში"?

**ბოლოდროინდელი წარუმატებლობის ფონზე მოსკოვის „სპარტაკში" ძირეულ რეფორმებს ელიან. როგორც შევიტყვეთ, ამ კლუბის ხელმძღვანელობას მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლოთარ მათეუსის მიწვევა გადაუწყვეტია. გარდა ამისა, გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავს ცსკა ეპატიჟება.**

## ფილიპო ინძაგი ორი კვირით მწყობრიდან გამოვიდა

„მილანის" ფორვარდმა ფილიპო ინძაგიმ, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების პირველ სამ მატჩში უკვე 7 გოლი (!) გაიტანა, სერიოზული ტრავმა მიიღო. ექიმებმა მას ორი კვირით დასვენება ურჩიეს. „მილანისათვის" საბედნიეროდ, ინძაგის დასვენების დღეები გუნდის ჩემპიონთა ლიგიდან მცირე არდადეგებს ემთხვევა. ასე რომ, ინძაგი, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურისთვის მომჯობინდება.

## ცსკა-ს ხელმძღვანელმა თავი მოიკლა

**ნიჟეგოროდის სასტუმრო „ოკაში" მკვდარი აღმოაჩინეს რუსეთის ცსკა-ს ხელმძღვანელი, შს სამინისტროს საქმეთა ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი, გადამდგარი გენერალ-მაიორი ნიკოლაი ნინო. მიცვალებულს მარცხენა ხელზე ვენა ჰქონდა გახსნილი. იქვე იპოვეს მისივე ხელით დაწერილი წერილი. იგი წერდა: „მე დავიღალე, მეჩვენება, რომ უკვე ძალზედ ავად ვარ." იქვე თხოვნაა, რომ მის სიკვდილში არავინ დაადანაშაულონ. ამასთან ითხოვს მისი ცოლშვილი მშობლიურ ომსკში გადააგზავნონ. ვარაუდობენ, რომ თვითმკვლელობა დაკავშირებული უნდა იყოს ნინოს საქმიანობასთან ცსკ-ში.**

## ზესტაფონელებს არ ეკადრებოდათ...

ასეთი მასპინძლობა

სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე

# გაბელიას ნახტომი... ტრიბუნაზე

უარყოფითი მაგალითი გადამდებია. ეს ძველი ჭეშმარიტება, სამწუხაროდ, ჩვენი ფეხბურთისთვის ჯერაც აქტუალურია. მსაჯებზე ნადირობით არამარტო უმაღლესი და პირველი ლიგა „იწონებს" თავს, ასეთი ფაქტები ბავშვთა ლიგაშიც ხდება. ცხელი დღე ჰქონდა გუშინწინ, სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიას. უმთავრესი გასარჩევი, რა თქმა უნდა, ზესტაფონში მომხდარი მსაჯთა რბევა იყო. ამაზე ქვემოთ. სხდომა კი „წვრილმანით" დაიწყო. ორ-ორი გაფრთხილებების გამო, მინდვრიდან გაძევებული ბათუმელი არჩვაძე და თბილისური „ლოკოს" ფეხბურთელი კოტრიკაძე თითო-თითო მატჩით არიან დისკვალიფიცირებულები და 50-50 ლარს გადაიხდიან.

ნერვების აყოლა, ასევე ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციად დაუჯდა თბილისის „ლოკომოტივი 2" —ის მწვრთნელს რაჟდენ ტოგონიძეს. გადამეტებული ემოციურობით გამოირჩეოდა ყოველთვის „მერანის" თავკაცი ოთარ გაბელია. თავი ვერც „დინამოსთან" მატჩისას შეიკავა მწვრთნელმა. ხმამაღალი ბილწსიტყვაობის გამო, მატჩის არბიტრმა მალხაზ მაისურაძემ და მეოთხე მსაჯმა კახაბერ მესხმა, გაბელიას ტრიბუნისკენ მიუთითეს და სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს, რამაც მერანელთა მწვრთნელი კიდევ უფრო გააგულისა და მესხს ხელით უბიძგა. კოლეგიის გადაწყვეტილებაც სათანადო მოჰყვა მწვრთნელის უწესობას. გაბელია შეგირდებს ტრიბუნიდან დამოძღვრავს და შეუძახებს. იგი ოთხი მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 200 ლარით დაჯარიმდა.

ახლა მთავარზე. დავიწყოთ ბავშვთა ლიგიდან. თბილისის „ოლიმპიკი" 1986 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ლიგაში ასპარეზობს. გუნდი პერსპექტიულია, თუმცა მომავალზე ფიქრი ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაწილს ნაკლებად აღელვებს. გინება და მუშტკრივი უფრო ემარჯვებათ ფიფიას და ნამორაძეს. ფიფიამ მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც სამ თამაშს გამოტოვებს. ნამორაძემ გინება არ იკმარა და სახეში ხელი გაარტყა მსაჯს. უზრდელობამ ფეხბურთელი „საყვარელ საქმეს" ერთი წლით ჩამოაშორა.

ის, რაც ზესტაფონში „მეტალურგისა" და „ვიტ ჯორჯიას" მატჩში მოხდა, აღწერას ძნელად ექვემდებარება. მეტალურგთა ახლა უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ნუგზარ მდივანმა ვერ მოთოკა ნერვები, მისმა გამომწვევმა ქცევამ მაყურებელიც გაახელა და მაშინ, როდესაც თბილისელები მატჩს 3-1 იგებდნენ, მამას შვილიც აჰყვა, მატჩის მთავარ მსაჯს იოსებ კახიანს გამოეკიდა უმცროსი მდივანი, მაყურებლებმა კი ბოთლებისა და ქვების სროლა დაიწყო მინდორზე. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს ზესტაფონელმა ფეხბურთელმა შეყრილაძემ. იგი გააძევეს, მაგრამ ამით მსაჯთა და მატჩის ინსპექტორის რბევა არ დასრულებულა და გასახდელშიც გაგრძელდა. მატჩის განახლება შეუძლებელი გახდა.

სხდომას ყველა დაესწრო, გუნდების წარმომადგენლები, მსაჯები და ინსპექტორი. მსჯელობის შემდეგ ასეთი მკაცრი განაჩენი სადისციპლინო კოლეგიას კარგა ხანია არ გამოუტანია. ვაკხანალიისგან და სრული ქაოსისაგან უზომოდ დაზარალდა კლუბი და დამსახურებულად. „მეტალურგს" ტექნიკური წაგება 0-3 ჩაეთვალა, ნუგზარ მდივანის ყოფნა გუნდის ხელმძღვანელობის სათავეში კოლეგიამ მიზანშეუწონლად ჩათვალა, რაც ეცნობება კლუბის დამფუძნებლებს „ფეროს" ქარხნის მესვეურთ. (თუმცა ნუგზარ მდივანმა მოვლენებს რამდენიმე დღით დაასწრო და მატჩის შემდეგ კლუბის პრეზიდენტობიდან თავად გადადგა). გაძევებულმა შეყრილაძემ სასჯელად თორმეტთვიანი დისკვალიფიკაცია და 1000 ლარიანი ჯარიმა მიიღო. „მეტალურგი" შინ მიმდინარე, კალენდარული წლის დასასრულამდე ვერ ითამაშებს. სტადიონი პირობითად სეზონის ბოლომდეცაა დისკვალიფიცირებული. ფაქტი ამაზრზენია, ასეთ პირობებში, მოგეხსენებათ, ფეხბურთს არ თამაშობენ, მაშინ, როდესაც მატჩის არბიტრების სიცოცხლეს შეურბილებლად, რომ ვთქვათ საფრთხე ემუქრება.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 8 | 7 | 1 | 0 | 16-1 | 22 |
| ტორპედო | 9 | 6 | 1 | 2 | 15-4 | 19 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 1 | 1 | 13-2 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 15-5 | 19 |
| კოლხ. 1913 | 9 | 4 | 2 | 3 | 11-12 | 14 |
| სიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 8-11 | 13 |
| მეტალურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 7-13 | 13 |
| მერანი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-15 | 8 |
| მილანი | 9 | 1 | 3 | 5 | 3-13 | 6 |
| დილა | 9 | 1 | 2 | 6 | 3-12 | 5 |
| დინამო (ბთ) | 9 | 0 | 5 | 4 | 4-8 | 5 |
| გორდა | 9 | 1 | 0 | 8 | 3-16 | 3 |

### პირველი ლიგა, V ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| ივერია | 5 | 4 | 1 | 0 | 10-5 | 13 |
| ლაზიკა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 10 |
| თსუ | 5 | 3 | 0 | 2 | 5-4 | 9 |
| გურია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| ჭაბ. ნაკრ. | 5 | 2 | 0 | 3 | 11-9 | 6 |
| მცხეთა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| ლოკ (სამტრ) | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| ქობულეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-5 | 6 |
| სამგურალი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 6 |
| ლოკომოტ.2 | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| დინ.2 (თბ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| ლოკო | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |
| ალაზ.- მერ. | 5 | 0 | 1 | 4 | 3-13 | 1 |
| კოლხეთი (ხ) | 5 | 0 | 1 | 4 | 0-8 | 1 |

# რეგიონული ლიგა

აღმოსავლეთი, II ტური
კახეთი — პოლ. აკად. 1-0
შავნაბადა — სიონი 2 0-0
სამგორი — ჰერეთი 1-2
ერთობა — ნორჩ დინ. 0-3
დინამო 2 — მაუდი 0-2
დინამო 3 (თბ) — გორდა 2 5-0
კრწანისი — ზოოვეტი 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| ნორჩ. დინ. | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| ზოოვეტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| მაუდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| სიონი 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 6-0 | 4 |
| კახეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| დინ. 3 (თბ) | 2 | 1 | 0 | 1 | 6-2 | 3 |
| გორდა 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| შავნაბადა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| პოლ.აკად. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| კრწანისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| დინ. 2 (სოხ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |
| სამგორი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |
| ერთობა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-10 | 0 |

დასავლეთი, III ტური
ჩიხურა — ლუკა 3-0
რაჭა — კოლხეთი 2 1-0
მეშახტე — სალხინო 3-2
მაღაროელი — სქური 4-2
დინამო2 (ბთ) — სულორი 1-0
სსუ — ინტერი 1-1
დინამო (ზ) — შევარდენი 5-1
დინამო (სოხ) — ოდიში 1-2

დასავლეთი, IV ტური
შევარდენი — ოდიში 0-2
ინტერი — დინამო (სოხ) 0-0 (მატჩი შეწყდა ძლიერი წვიმის გამო)
სულორი — სსუ 2-1
სქური — დინამო 2 (ბთ) 2-1
სალხინო — მაღაროელი 1-2
კოლხეთი 2 — მეშახტე 0-1
ლუკა — რაჭა 1-0
დინამო (ზ) — ჩიხურა 1-3

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 4 | 4 | 0 | 0 | 17-3 | 12 |
| ოდიში | 4 | 4 | 0 | 0 | 9-3 | 12 |
| მაღაროელი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-5 | 10 |
| ლუკა (ბათ.) | 4 | 3 | 0 | 1 | 4-3 | 9 |
| მეშახტე | 4 | 3 | 0 | 1 | 5-4 | 9 |
| რაჭა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| დინამო (ზუგ.) | 4 | 2 | 0 | 2 | 7-6 | 6 |
| სქური | 4 | 2 | 0 | 2 | 6-8 | 6 |
| ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| დინამო(სოხ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| შევარდენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |
| სალხინო | 4 | 1 | 0 | 3 | 7-12 | 3 |
| სულორი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| დინ.-2 (ბთ.) | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| სსუ (სოხ.) | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |
| კოლხეთი-2 | 4 | 0 | 0 | 4 | 1-9 | 0 |

ცენტრალური, III ტური
ცხუმი — მესხეთი 0-2
ვიტა 2 — ყაზბეგი 0-0
ვარძია — ცხინვალი-2 1-2
ოლიმპი — ვაკე 91 0-2
თორი — მცხეთა 2 2-2
დილა 2 — პრემა 1-3
აფა — ლიახვი 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია2 | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| ვაკე 91 | 3 | 2 | 0 | 1 | 9-3 | 6 |
| თორი | 3 | 1 | 2 | 0 | 9-3 | 5 |
| აფა | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| მესხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| მცხეთა 2 | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| პრემა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| ლიახვი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-8 | 4 |
| ცხუმი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 |
| ყაზბეგი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| ოლიმპი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| ცხინვალი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| ვარძია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| დილა2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3-11 | 0 |

**წინადადება**

## ეს შეცდომა უნდა გასწორდეს

**1937 წელს თბილისში დამთავრდა არქიტექტორ არჩილ ქურდიანის პროექტით თბილისში ულამაზესი სტადიონის მშენებლობა. მაშინ არქიტექტურის ამ ძვირფას ძეგლს ლავრენტი ბერიას სახელი დაარქვეს. 1976 წელს დამთავრდა მისი რეკონსტრუქცია არჩილ და გია ქურდიანების ავტორობით და სტადიონმა დღევანდელი სახე მიიღო. აქაც მაშინდელმა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დიდი „წინდახედულება" გამოიჩინა და სტადიონს ვ. ლენინის სახელი ისე მიაკუთვნა, თითქოს საქართველოზე ფიქრში გარდაცვლილიყო. მზემ ჩვენთვისაც აღმოსავლეთიდან გამოანათა და დამოუკიდებლობა გვეღირსა. ეშველა სტადიონსაც: მას მართლაც ღირსეული მამულიშვილის, ლეგენდად ქცეული ბორის პაიჭაძის სახელი უწოდეს. ეს, რა თქმა უნდა, დიდებულია, მაგრამ იქვე ვიღაცის ინიციატივით გაჩნდა სიტყვა „ეროვნული". ე.ი. „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი". დავფიქრდეთ, თუ სტადიონი ბორის პაიჭაძის სახელობისაა, რა შუაშია აქ სიტყვა „ეროვნული?" იგი სრულიად ზედმეტია და აქ უხერხულადაც ჟღერს. ბოლოს და ბოლოს, სტადიონს ასე უნდა ეწოდოს: „ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი" და სხვა არანაირი სიტყვა აქ საჭირო არ არის. ეს დროზე უნდა გასწორდეს.**

დურმიშხან ცინცაძე

# ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველო – რუსეთის საფეხბურთო ნაკრებების 12 ოქტომბრის მატჩზე აკრედიტაციის მისაღებად წერილობით უნდა მიმართოთ სფფ-ს. ტელ. 96-07-80

# ბავშვთა ფეხბურთი



«ავაზა-1» — გამარჯვებული



«ავაზა-2» — II პრიზიორი

## „ავაზამ“ ორი გუნდით დაიწყო და შეჯიბრება ერთმანეთში ფინალით დაასრულა

თორნიკე რუხაძის თასის პირველ გათამაშებაში თბილისის ჭაბუკთა 10 გუნდი ჩაება: „ავაზამ“ და „დინამომ“ ორ-ორი გუნდი გამოიყვანა, დანარჩენებმა თითო: 35-ე სკოლა, ფეხბურთის აკადემია, „ოლიმპიკი“, „საბურთალო“, „ვაკე — ირაო“, „ლოკომოტივი“. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ მ. მესხის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრი (დირექტორი გ. უდესიანი) და გუნდი „ავაზა“.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ „ნორჩი დინამოელი“ და „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს დინამოელებმა 3-0. ფინალში „ავაზას“ პირველმა და მეორე გუნდებმა ურთიერთშეხვედრაში გამოავლინეს უძლიერესი. ეს აღმოჩნდა პირველი გუნდი, რომელმაც 5-1 მოუგო თანასკოლელებს. პრიზები გადაეცათ: საუკეთესო მეკარეებისა — ლევან ტყეშელაშვილს („ავაზა“) და ლაშა ნიკოლაიშვილს („დინამო“), თავდამსხმელისა — გიგა ფალნერს („ავაზა“), მცველისა — ალუდა წიკლაურს, („ლოკომოტივი“), ბომბარდირისა — მერაბ გიგაურს, საუკეთესო ფეხბურთელისა — ჯუბა ხოჯაშვილს (ორივე — „ავაზა“), ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელისა — ვანო ხაბელაშვილს („დინამო“, პრიზი დააწესა ფეხბურთის ფედერაციამ), მაყურებლის სიმპათიისა — ლუკა დოდელიას („ავაზა“), საუკეთესო მწვრთნელისა — ანზორ ზუკაკიშვილს („ავაზა“).

აღსანიშნავია, რომ პრიზები დააწესეს სხვადასხვა ფირმებმა და ორგანიზაციებმა: „კოკა-კოლამ“, ბავშვთა დაცვის ასოციაციამ, საფეხბურთო კლუბმა თბილისის „დინამომ“ და სხვ.

გამარჯვებული გუნდი და პრიზიორები დაჯილდოვდნენ პრიზებით, შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით.

„დაიწყო ახალი სასწავლო წელი და განახლდა საფეხბურთო ტურნირები. მომავალში ჩვენს მოზარდ ფეხბურთელებს არაერთი საინტერესო შეჯიბრება ელით“ — განაცხადა ტურნირის ორგანიზატორმა მერაბ გოგორიშვილმა.

ც. ბაქრაძე

«ნორჩი დინამოელი» — III პრიზიორი



ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

## ვალერი გაზაევი: თბილისში უნდა წავიდეთ...



**საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებთან მომავალ მატჩთან დაკავშირებით რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა მინი ინტერვიუ მისცა „სპორტ სეგოდნიას“ ჟურნალისტს.**

● ***ბატონო ვალერი, როგორ ფიქრობთ, რამდენად მიზანშეწონილია რუსეთის ნაკრების გამგზავრება თბილისში, როცა ამჟამად იქ მეტად დაძაბული პოლიტიკური სიტუაციაა?***

— ამ საკითხთან დაკავშირებით, მოგეხსენებათ, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა წერილი გაუგზავნა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ამჟამად ეს თემა განხილვის სტადიაშია. ჩემი აზრი გაინტერესებთ? ჩვენ უნდა წავიდეთ თბილისში. არ მინდა დავიჯერო, რომ რუსეთის ნაკრების თბილისური ვოიაჟის დროს რაღაც უსიამოვნებები შეგვემთხვევა.

● ***საქართველოს ნაკრებს ალბათ შესარჩევ ჯგუფებში მოახპარეზე სხვა მეტოქეებზე კარგად იცნობთ...***

— მართალს ბრძანებთ. მე კარგად ვიცნობ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს, მათ შესაძლებლობებს. რამდენჯერმე ვნახე შვეიცარია — საქართველოს მატჩი და დავრწმუნდი, რომ შეხვედრის ანგარიში სრულად არ ასახავს საქართველოს ნაკრების ძალას. ის თამაში ქართველებმა ნამდვილად ცუდად ითამაშეს, ბევრი უხეში შეცდომა დაუშვეს. ცხადია, ისინი ასეთივე შეცდომებს ჩვენთან შეხვედრაში აღარ დაუშვებენ.

## ვიაჩესლავ ფეტისოვი: „ყველანი თბილისისკენ!“

**რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ფეტისოვმა უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა 12 ოქტომბერს აუცილებლად თბილისში შედგება. მისი სიტყვებით, საქართველოს დედაქალაქში გამგზავრებას აპირებს რუსი სპორტსმენების და ვეტერანების დიდი ჯგუფი, რათა გულშემატკივრობა გაუწიონ თავიანთ გუნდს.**

**რუსეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ ქართული მხარე ბოლომდე გააკონტროლებს სიტუაციას.**

**„მე ვესაუბრე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ მატჩი მშვიდობიან ვითარებაში ჩატარდება“, — თქვა ფეტისოვმა.**

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა, პარტია „ლიბერალური რუსეთის“ თანათავმჯდომარემ სერგეი იუშჩენკოვმა რუსეთის საფეხბურთო კავშირსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შესთავაზა ვეტერანთა ნაკრებების მატჩის ჩატარება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე. იუშჩენკოვი თვლის, რომ ეს უფრო გააუმჯობესებს ურთიერთობას ქართველ და რუს ხალხებს შორის.

„მე ვერ წარმოვიდგენ, რომ მურთაზ ხურცილავამ ან რამაზ შენგელიამ ცუდი თვალით შეხედონ რინატ დასაევს, ანდა, იური გავრილოვს. ანდა, პირიქით, ვიქტორ პონედელნიკსა და სერგეი იურანს ნუთუ არ ესიამოვნებათ შეხვდნენ ძველ მეგობრებს — ვლადიმერ გუცაევს ან ალექსანდრე ჩივაძეს?

ეს მოთამაშეები ადრე ხომ ერთი გუნდის — საბჭოთა კავშირის ღირსებას იცავდნენ... ვფიქრობ, ვეტერანთა მატჩი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ვერანაირი პოლიტიკა ვერ დააშორებს ქართველებსა და რუსებს“, — ამბობს სერგეი იუშჩენკოვი.

## ფეხბურთის 25 წელი... პელეს გარეშე

*საუკუნის მეოთხედი გავიდა მას შემდეგ, რაც „ფეხბურთის მეფემ“ — პელემ საფეხბურთო კარიერა დაასრულა. 1977 წლის ოქტომბრის დასაწყისში ამერიკულმა გუნდმა „კოსმოსმა“, რომლის ღირსებასაც თავისი საფეხბურთო კარიერის ბოლო პერიოდში იცავდა პელე, „ფეხბურთის მეფეს“ გამოსათხოვარი მატჩი მოუწყო. „კოსმოსი“ შეხვდა პელეს მშობლიურ „სანტოსს“. თვით ცოცხალი ლეგენდა პირველ ტაიმში „კოსმოსში“ თამაშობდა, მეორეში კი „სანტოსის“ ღირსებას იცავდა. „კოსმოსმა“ გაიმარჯვა 2-1. სტადიონზე შეკრებილმა 77 ათასმა მაყურებელმა პირველ ტაიმში პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის „სანტოსის“ კარში გატანილი გოლი იხილა, რომელიც პელესთვის 1281-ე აღმოჩნდა.*



*პელეს გაცილებას ფეხბურთიდან ბევრი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა: კინოვარსკვლავები რობერტ რედფორდი, დაიანა კიტონი, მომღერლები სერჟიო მენდესი, მიკ ჯაგერი, ბარბრა სტრეიზანდი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი, მოკრივე მუჰამედ ალი, ფეხბურთის ვარსკვლავები ფრანც ბეკენბაუერი, კარლოს ალბერტო, ბობი მური და სხვები...*

*საინტერესოა, რომ „კოსმოსთან“ კონტრაქტის დადება პელეს ფინანსურმა კრიზისმა აიძულა, რომელმაც 70-იანი წლების დასაწყისში იჩინა თავი. საკუთარი ბიუჯეტის გასამყარებლად, პელემ ამერიკაში თამაში გადაწყვიტა, რითაც დიდი საქმე გააკეთა: ხელი შეუწყო ფეხბურთის პოპულარიზაციას აშშ-ში. მისი ბრწყინვალე თამაშის შემხედვარე ამერიკელი ახალგაზრდების უფრო მეტი ნაწილი დაინტერესდა სპორტის ამ სახეობით.*

*პელეს გამოსათხოვარი მატჩიდან 25 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთის მრავალმა ვარსკვლავმა გაიბრწყინა — ჩაირბინა დიეგო მარადონას, მარკო ვან ბასტენის, რუდი გულიტის და სხვათა ეპოქამ, მაგრამ პელე სულ სხვა იყო... მისი ბრწყინვალე თამაშის ხილვამ ცნობილ იტალიელ რეჟისორს პიერ პაოლო პაზოლინის ათქმევინა: „როცა პელე ბურთს ფლობდა, ფეხბურთი უმალვე პოეზიად გარდაიქმნებოდა“.*

## სტოიჩკოვს ძეგლს დაუდგამენ

*ბულგარული საფეხბურთო კლუბ ცსკა-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ძეგლი დაუდგას გუნდის ყოფილ ფეხბურთელს ხრისტო სტოიჩკოვს. ცსკა-ს მწვრთნელის მლადენოვის თქმით, სტოიჩკოვთან ერთად გუნდმა დიდ წარმატებებს მიაღწია და ძეგლის დადგმა ერთგვარი მადლიერების გამოხატვა იქნება.*

## ბესონოვი თურქმენეთის ნაკრებს ხელმძღვანელობს

*კიევის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, 44 წლის ვლადიმირ ბესონოვი თურქმენეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს აზიის თამაშების დაწყებამდე... ერთი კვირით ადრე. მან გუნდი მხოლოდ 7-ჯერ ავარჯიშა და ისე გაემგზავრა სამხრეთ კორეაში.*

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. როდის არ უნდა გააფრთხილოს მსაჯმა ფეხბურთელი, თუ მან გოლის გატანა ემოციურად გამოხატა?***

ა — აძვრა ღობეზე

ბ — გაიხადა მაისური და დარბის მოედნის გარშემო

გ — გავიდა მოედნიდან.

***2. კარიდან დარტყმის შემდეგ ბურთი არავის შეხებია, ისე გავიდა მეტოქის კარში...***

ა) უნდა ჩაითვალოს გოლი

ბ) არ უნდა ჩაითვალოს გოლი

გ) უნდა შესრულდეს განმეორებითი დარტყმა.

***3. პენალტების სერიის შესრულებისას ბურთი მოხვდა ძელს და გასკდა...***

ა — დარტყმა არ უნდა განმეორდეს

ბ — დარტყმა უნდა განმეორდეს

გ — მსაჯმა უნდა ჩათვალოს გოლი.

***4. ტრავმირებულ მოთამაშეს დახმარება უნდა აღმოუჩინონ...***

ა) — გვერდით ხაზს მიღმა

ბ) — კარს უკან

გ) — მსაჯის მითითებით ნებისმიერ ადგილზე.

***5. რამდენი წამი შეიძლება ეჭიროს მეკარეს ბურთი ხელში?***

ა — 5 წამი

ბ — 6 წამი

გ — 10 წამი

პასუხები: 1 — გ, 2 — ა, 3 — ბ, 4 — გ, 5 — ბ.

წინა ნომერში გამოქვეყნებულის პასუხები: 1 — ბ, 2 — ა, 3 — გ, 4 — ბ, 5 — ა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონთა ლიგა

## სანამ მეორე წრე დაიწყება...


დეპორტივო – ლანსი


აეკ – რეალი

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის პირველი წრე დასრულდა. ჯერჯერობით დამაჯერებლად, უდანაკარგოდ მიიწევენ კახი კალაძის „მილანი“, ესპანეთის „ბარსელონა“, ლონდონის „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“. დღემდე გოლის გატანა ვერ შეძლეს „ნიუკასლმა“, „სპარტაკმა“ და „გენკმა“.**

მაინც, რა შანსები აქვს ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე გუნდებს მეორე წრის დაწყების წინ?

**A ჯგუფში** „არსენალს“ სამივე თამაში აქვს მოგებული და ბურთი ჯერ არ გაუშვია საკუთარ კარში. მეოთხე ტურში (22-23 ოქტომბერი) საკუთარ მოედანზე „ოსერის“ ძლევას შეეცდება და მიზნის მიღწევის შემთხვევაში, პრაქტიკულად ინაღდებს შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსს. იმავე მდგომარეობაშია დორტმუნდის „ბორუსია“, რომელმაც „ეინდჰოვენს“ გასვლით შეხვედრაში 3-1 მოუგოლა, ცხადია, იმავე გუნდთან შინ წარმატების უფრო მეტი შანსი აქვს.

**B ჯგუფში** „სპარტაკს“ ალარაფერი ეშველება. რომანცევის გუნდს ისღა დარჩენია იმაზე იზრუნოს, რომ მთლად შერცხვენილმა არ დატოვოს ჩემპიონთა ლიგა: რუსებს ხომ ერთი გოლიც არ აქვთ გატანილი, საკუთარ კარში კი ათი (!) მიიღეს: შემდგომ ტურში „სპარტაკი“ „ლივერპულს“ მასპინძლობს და, ცხადია, სპეციალისტები ამ უკანასკნელს ანიჭებენ უპირატესობას. „ბაზელი“, რაღა თქმა უნდა, „ვალენსიასთან“ შელახული იმიჯის გამოსწორებას საკუთარ მოედანზე შეეცდება, თუმცა ამის გაკეთება ძალზე ძნელი იქნება.

**C ჯგუფში** „რეალმა“ აეკ-თან სტუმრად ორი ქულა დაკარგა, თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ ამავე გუნდს საშინაო მატჩში იოლად დაამარცხებს.

„რომამ“ როგორც იქნა, პირველი გოლი გაიტანა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში. ეს ბელგიურ „გენკთან“ გასვლით მატჩში მოხდა. ახლა „რომა“ „გენკს“ უმასპინძლებს და წარმატების შემთხვევაში მეორე ადგილზე „გამყარდება“.

**D ჯგუფში** „ლიონთან“ საშინაო შეხვედრაში 1-2 დამარცხების შემდეგ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა „ინტერი“, რომელიც ახლა სტუმრის სტატუსით ითამაშებს და ძალების სრული მობილიზება მოუწევს. უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფში ყველა გუნდს აქვს შემორჩენილი შემდგომ ეტაპზე თამაშის შანსი, თუმცა ორი ქულის მქონე „რუსენბორგს“ აშკარად გაუჭირდება წარმატებით თამაში სტუმრად ჰოლანდიურ „აიაქსთან“.

**E ჯგუფში** „ნიუკასლი“ ისევ დამარცხდა. ამჯერად სტუმრად „იუვენტუსთან“ ინგლისელები ახლა ჯგუფის ლიდერს — „ბებერ ქალბატონს“ შინ მიიღებენ და იმედოვნებენ, რომ ამჯერად მაინც შეძლებენ ჩემპიონთა ლიგაში პირველი გოლის გატანას მაინც.

მეორე ადგილისათვის ფაქტობრივი ბრძოლა კიევის „დინამოსა“ და „ფეიენოორდს“ შორის უკრაინის დედაქალაქში შედგება.

**F ჯგუფში** ახალი ის არის, რომ „ლევერკუზენმა“ პირველი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად „მაკაბისთან“ და დარწმუნებულია, რომ შინაც იგივე შედეგს მიაღწევს. ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი სტუმრად ეთამაშება „ოლიმპიაკოსს“.

**G ჯგუფში** მეტად მძიმე მდგომარეობაშია მიუნხენის „ბაიერნი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე კახი კალაძის „მილანთან“ დამარცხდა. გერმანელებს უკან დასახევი გზა აღარ აქვთ, — მათ აუცილებლად უნდა მოუგონ სტუმრად ვარსკვლავებით „გაჭედილ“ „მილანს“, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგაში მათ ასპარეზობას აზრი დაეკარგება და ჯგუფში ჩარჩებიან.

„დეპორტივო“ „ლანსთან“ სტუმრად წარმატების შემთხვევაში კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს შემდგომი ეტაპისკენ.

**H ჯგუფში** „ბარსელონა“ უდანაკარგოდ ასპარეზობს. ახლა მას მორიგი „გასეირნება“ ელის შინ მოსკოვის „ლოკომოტივთან“, ხოლო „გალათასარაის“ საშინაო ფრის შემდეგ ძალების მობილიზება მოუწევს „ბრიუგესთან“ ბელგიური მატჩისათვის.

## ჯგუფური ეტაპის მესამე ტური

**A ჯგუფი**

ოსერი (საფრანგეთი) — არსენალი (ინგლისი) 0-1 (0-0)

*გოლი:* 0-1 სილვა (48)

პსვ (ჰოლანდია) — დორტმუნდი (გერმანია) 1-3 (0-1)

*გოლები:* 0-1 კოლერი (21), 0-2 როსიცკი (69), 1-2 ვან დერ სხაფი (74), 1-3 ამოროზო (90)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| **დორტმუნდი** | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| **ოსერი** | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| **პსვ** | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

**B ჯგუფი**

ლივერპული (ინგლისი) — სპარტაკი (რუსეთი) 5-0 (3-0)

*გოლები:* 1-0 ჰესკი (7), 2-0 შეირუ (14), 3-0 ჰიუიპია (28), 4-0 დიაო (82), 5-0 ჰესკი (89)

ვალენსია (ესპანეთი) — ბაზელი (შვეიცარია) 6-2 (4-0)

*გოლები:* 1-0 კარიუ (11), 2-0 კარიუ (13), 3-0 აურელიო (18), 4-0 ბარახა (28), 4-1 როსი (47), 5-1 აიმარი, (58), 6-1 მისტა (66), 6-2 ჰ. იაკინი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვალენსია** | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 9 |
| **ლივერპული** | 3 | 1 | 1 | 1 | 6-3 | 4 |
| **ბაზელი** | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| **სპარტაკი** | 3 | 0 | 0 | 3 | 0-10 | 0 |

**C ჯგუფი**

აეკ (საბერძნეთი) — რეალი (მადრიდი) 3-3 (3-2)

*გოლები:* 1-0 ცარტასი (7), 1-1 ზიდანი (15), 2-1 მალადენისი (25), 3-1 ნიკოლაიდისი (28), 3-2 ზიდანი (40), 3-3 გუტი (60).

გენკი (ბელგია) — რომა (იტალია) 0-1

*გოლი:* 0-1 კასანო (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | 3 | 2 | 1 | 0 | 12-3 | 7 |
| **რომა** | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| **აეკ** | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| **გენკი** | 3 | 0 | 1 | 2 | 0-7 | 1 |

**D ჯგუფი**

ინტერი (იტალია) — ლიონი (საფრანგეთი) 1-2 (0-1)

*გოლები:* 0-1 გოვუ (21), 0-2 ანდერსონი (60), 1-2 კანავარო (73).

რუსენბორგი (ნორვეგია) — აიაქსი (ჰოლანდია) 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლიონი** | 3 | 2 | 0 | 1 | 8-3 | 6 |
| **ინტერი** | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| **აიაქსი** | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| **რუსენბორგი** | 3 | 0 | 2 | 1 | 2-7 | 2 |

**E ჯგუფი**

ფეიენოორდი (ჰოლანდია) — დინამო (უკრაინა) 0-0

იუვენტუსი (იტალია) — ნიუკასლი (ინგლისი) 2-0 (0-0)

*გოლები:* 1-0 დელ-პიერო (64), 2-0 დელ პიერო (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუვენტუსი** | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| **ფეიენოორ.** | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| **დინამო** | 3 | 1 | 1 | 1 | 2-5 | 4 |
| **ნიუკასლი** | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

**F ჯგუფი**

მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 4-0 (2-0)

*გოლები:* 1-0 გიგზი (19), 2-0 ვერონი (26), 3-0 გიგზი (66), 4-0 სულშერი (76)

მაკაბი (ისრაელი) — ლევერკუზენი (გერმანია) 0-2 (0-1)

*გოლები:* 0-1 ბაბიჩი (31), 0-2 ბაბიჩი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 3 | 3 | 0 | 0 | 11-3 | 9 |
| **მაკაბი** | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| **ოლიმპიაკ.** | 3 | 1 | 0 | 2 | 6-9 | 3 |
| **ლევერკუზ.** | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |

**G ჯგუფი**

დეპორტივო (ესპანეთი) — ლანსი (საფრანგეთი) 3-1 (0-1)

*გოლები:* 0-1 მორეირა (10), 1-1 მაკაი (49), 2-1 კალდევია (79) 3-1 მარტინი (84).

ბაიერნი (გერმანია) — მილანი (იტალია) 1-2 (0-0)

*გოლები:* 0-1 ფ. ინძაგი (52), 1-1 პისარო (52), 1-2 ფ. ინძაგი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| **დეპორტივო** | 3 | 2 | 0 | 1 | 6-7 | 6 |
| **ბაიერნი** | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |
| **ლანსი** | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |

**H ჯგუფი**

ლოკომოტივი (რუსეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 1-3 (0-2)

*გოლები:* 0-1 კლუივერტი (29), 0-2 სავიოლა (31), 0-3 სავიოლა (49), 1-3 ობიორა (56)

გალათასარაი (თურქეთი) — ბრიუგე (ბელგია) 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| **გალათასარ.** | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| **ბრიუგე** | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| **ლოკომოტ.** | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |


ვალენსია – ბაზელი

## დენის ბერხკამპს სამშობლო მოენატრა

ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა დენის ბერხკამპმა გაზეთ „ნიუს ოვ დე ვორლდ“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მომავალი წლის ზაფხულში, თავის ამჟამინდელ კლუბთან — ლონდონის „არსენალთან“ დადებული კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ, ის დაბრუნდება სამშობლოში, რომელიც 10 წლის წინ დატოვა.

„მე უკვე კარიერის დასრულებაზე უნდა ვიზრუნო, რადგან ვგრძნობ, ეს დღე შორს აღარ არის“, — თქვა ბერხკამპმა, — ჩემი ოჯახი და პირადად მეც ბედნიერად ვგრძნობთ თავს ინგლისში, მაგრამ ჰოლანდიაში აუცილებლად დავბრუნდებით. უკვე 33 წლისა ვარ და ძველებურად სწრაფად სირბილი აღარ შემიძლია. და კიდევ ერთი, — მინდა წავიდე „არსენალიდან“ მაშინ, როცა ეს გუნდი დიდების მწვერვალზე იქნება“.



## ლეონიდ ბურიაკმა შემადგენლობა დაასახელა

უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა დაასახელა იმ მოთამაშეთა ვინაობა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში იასპარეზებენ საბერძნეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდების წინააღმდეგ (თამაშები შესაბამისად 12 და 16 ოქტომბერს შედგება):

*მეკარეები:* დმიტრი შუტკოვი („შახტარი“), ვიტალი რევა („დინამო“), ნიკოლაი მედინი („დნეპრი“).

*მცველები:* ოლეგ ლუჟნი („არსენალი“, ინგლისი), ვიქტორ სკრიპნიკი („ვერდერი“, გერმანია), მიხაილ სტაროსტიაკი („შახტარი“), იური დმიტრულინი, ანდრეი ნესმაჩნი, ალექსანდრ რადჩენკო (ყველა – „დინამო“). გენადი მოროზი, სერგეი მატუსინი (ორივე – „დნეპრი“).

*ნახევარმცველები:* ანატოლი ტიმოშჩუკი, გენადი ზუბოვი, (ორივე – „შახტარი“), ანდრეი გუსინი („დინამო“), სერგეი კონოვალოვი („არსენალი“), სერგეი კორმილცევი („ტორპედო“, მოსკოვი), სერგეი სერებრენიკოვი („ბრიუგე“, ბელგია), მაქსიმ კალინიჩენკო („სპარტაკი“ მოსკოვი).

*თავდამსხმელები:* ანდრეი ვორობეი („შახტარი“), სერგეი რებროვი („ტოტენჰემი“, ინგლისი), ალექსანდრ მალაშჩენკო („დინამო“), ოლეგ ვენგლინსკი („დნეპრი“), ანდრეი შევჩენკო („მილანი“, იტალია), ანდრეი ვორონინი („მაინცი“, გერმანია).

## ტრეზეგე საფრანგეთის ნაკრებში დაბრუნებას ჯერ არ აპირებს

**ოქტომბერში საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრებს ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი ელის სლოვენიისა და მალტის გუნდებთან. ცნობილი გახდა, რომ ნაკრებს ჯერჯერობით არ დაუბრუნდება დავიდ ტრეზეგე, რომელმაც ივლისის მიწურულს ტრავმა მიიღო და მოედანს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის მატჩში დაუბრუნდა იტალიურ „იუვენტუსს“. (აღნიშნულ შეხვედრაში „ბებერმა ქალბატონმა“, როგორც იცით, კიევის „დინამო“ გაანადგურა 5-0).**

**ტრეზეგეს თქმით, მას არ სურს, რომ საფრანგეთის ნაკრებს კარგად მომზადებული დაუბრუნდეს.**

## „დელე ალპის“ რეკონსტრუქციას ჩაუტარებენ

საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტაროს გუნდის კუთვნილებაში მყოფ სტადიონ „დელე ალპის“. უნდა ითქვას, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ მაყურებელთათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა კი არ გაიზრდება, არამედ... შემცირდება — 69 000-დან 39 ათასამდე.

## „იუვენტუსს“ ვისენტეს შეძენა სურს

**„იუვენტუსმა“ კვლავ განაახლა „ნადირობა“ მცველ ვისენტეზე, რომელიც ამჟამად „ვალენსიას“ ღირსებას იცავს. ესპანელები ამ ფეხბურთელში 20 მილიონ ფუნტს ითხოვენ.**

# მაიკლ ჯორდანი: „ერთ მატჩსაც არ გამოვტოვებ!"

მსოფლიო კალათბურთის ვარსკვლავმა მაიკ ჯორდანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ნბა-ს წლევანდელ სეზონში ყველა — 82-ივე მატჩს ითამაშებს „ვაშინგტონ უიზარდსის" შემადგენლობაში. ის კი არა, 39 წლის ჯორდანი ერთი წლის შემდეგაც აპირებს ნბა-ში დარჩენას.

შეგახსენებთ, რომ მაიკლ ჯორდანმა 14 სეზონი ითამაშა ნბა-ში. 13-ჯერ იასპარეზა „ყველა ვარსკვლავთა" მატჩში. „ჩიკაგო ბულზსთან" ერთად 6-ჯერ მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონის ტიტული.

ჩემი მთავარი მიზანი ახლა „ვაშინგტონ უიზარდსთან" დადებული კონტრაქტის პირობებია, რომლის თანახმადაც, ამ სეზონში, 1,2 მილიარდი დოლარი (!) უნდა მივიღო — თქვა ჯორდანმა.


მაიკლ ჯორდანი

## ფიბას ჩემპიონთა ლიგაში

*დაიწყო ფიბას (კალათბურთის საერთაშორისო ასოციაცია) ჩემპიონთა ლიგის ჩრდილოეთ კონფერენციის ჯგუფური ტურნირი. გაგაცნობთ პირველი ტურის შედეგებს.*

*A **ჯგუფი:** უნიკსი (რუსეთი) — პლანია ბასკეტი (შვედეთი) 84:69, ვენსპილსი (ლატვია) — შაულიაი (ლიტვა) 98:71, ოსტრუვი (პოლონეთი) — ოპავა (ჩეხეთი) 86:65.*

*B **ჯგუფი:** ანვილი (პოლონეთი) — კოპენჰაგენი (დანია) 74:62.*

*C **ჯგუფი:** სკონტო (ლატვია) — ალიტა (ლიტვა) 111:91, სოპოტი (პოლონეთი) — გროდნო (ბელარუსი) 83:62, ავტოდორი (რუსეთი) — მლეკარნა კუნინი (სლოვაკეთი) 96:85.*

*D **ჯგუფი:** კალევი (ესტონეთი) — ბკ ხიმკი (რუსეთი) 59:91, ბკ კიევი (უკრაინა) — პოლონია (პოლონეთი) 87:72, ლეტუვოს რიტასი (ლიტვა) — ატომერომუ (უნგრეთი) 118:62.*


ვინუს უილიამსი

## მოსკოვს ცრემლებს არ სჯერა...

მოსკოვში „კრემლის თასზე" მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე სენსაცია მოხდა. შეჯიბრებას გამოეთიშნენ შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი და ... ამერიკელი ვინუს უილიამსი. ეს უკანასკნელი დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა მაგდალენა მალეევასთან 6:2, 1:6, 6:7. პირველი სეტის შემდეგ ყველას ეგონა, რომ უილიამსი იოლად გაიმარჯვებდა, მაგრამ... შეხვედრამ სულ საათსა და 37 წუთს გასტანა. დამარცხებულ უილიამსს ცრემლები წასკდა... ასეთ შედეგს ხომ არავინ ელოდა.

# ბრაიანტი და ო'ნილი 2004 წლის ოლიმპიადაზე ითამაშებენ


ო'ნილი

**ახლახან გამართულ კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკის შეერთებული შტატების „ოცნების გუნდის" კრახმა ნბა-ს ბევრ ვარსკვლავს „აუდუღა" სისხლი. კობი ბრაიანტმა ახლავე განაცხადა, რომ ის აუცილებლად დაიცავს აშშ-ის ნაკრების ღირსებას 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში. მას მხარი აუბა შაკილ ო'ნილმაც, ოღონდ ამ უკანასკნელის თქმით, ათენში გაემგზავრება იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფილ ჯექსონი იქნება.**

**ბრაიანტი და ო'ნილი „ლეიკერზში" თამაშობენ. ეს გუნდი ბოლო სამი წელიწადია, არავის უთმობს ნბა-ს ჩემპიონის ტიტულს. ბრაიანტი დარწმუნებულია, რომ მეოთხედაც მოიპოვებენ ჩემპიონობას. თუ ასე მოხდა, მართლაც უნიკალური მიღწევა იქნება. ასეთი რამ 36 წლის წინ მოახერხა „ბოსტონ სელტიკსმა".**


ბრაიანტი აშშ-ს „ოცნების გუნდის" დამარცხებამ შეაწუხა...

# ოლა ჯიუვონი აღარ ითამაშებს?

ნბა-ს ვარსკვლავმა, ჰაკიმ ოლა ჯიუვონმა, რომელიც ამჟამად კლუბ „ტორონტოს" ღირსებას იცავს, ერთ-ერთ ვარჯიშზე ზურგი დაიზიანა. ტრავმა მეტად სერიოზულია. არ არის გამორიცხული ის, რომ ოლა ჯიუვონის სპორტული კარიერა დასრულდა. ყველაფერი ექიმების ვერდიქტზეა დამოკიდებული.

**აზიის თამაშები**

# რეკორდების „ცვენა" პუსანაში

სამხრეთ კორეაში, ქალაქ პუსანაში მიმდინარე აზიურ თამაშებში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაფიქსირდა. ამჯერად ბრასის სტილით ცურვაში. 200 მეტრ დისტანციაში ყველას აჯობა იაპონელმა მოცურავემ კოსუკე კიტაძიმამ. გამარჯვებულის დრო 2 წუთი და 9,97 წამი. წინა რეკორდი ეკუთვნოდა ამერიკელ მაიკ ბაროუმანს, რომელიც დამყარდა. ათი წლის წინათ და შეადგინა 3 წუთი და 0,16 წამი.


რი სონგ ხი

СФН

საინტერესოა, რომ იაპონელი რეკორდსმენი სულ ახლახან გამოჯანმრთელდა მძიმე ტრავმის შემდეგ და მოკლე დროში ასეთ უნიკალურ შედეგს მიაღწია.

— „მე ბევრს ვმუშაობდი. არ ვთვლი, რომ ეს რეკორდი ჩემი საბოლოო ზღვარი არ არის. მე უფრო სწრაფად შემიძლია ცურვა", — თქვა კოსუკე კიტაძიმამ.

სამხრეთკორეელმა ძალოსანმა რი სონგ ხიმ აზიურ თამაშებში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 53 კგ-მდე წონით კატეგორიაში ასპარეზობის დროს: მან მესამე ცდაზე 102,5 კილოგრამი აიტაცა, რითაც ძველი რეკორდი 2,5 კგ-ით გააუმჯობესა.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




4 ოქტომბერი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ ოლიმპიელთა წარმატების 50 წლისთავის საიუბილეო საღამო. რეპორტაჟი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან (18.00), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.20, 15.05), ჩ/ლიგის დღიური (16.50), „ფუტბოლ მუნდიალი" (17.50), ჩ/ლიგის ჰიტ-პარადი (23.15), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.00), ***НТВ плюс спорт.*** ტაილანდური კრივი (12.45), ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი, ვაჟები. მე-2 რაუნდის მატჩი (22.55, 0.55), ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.15, 3.15), ფეხბურთი. უეფას ევროპის თასი (14.30, 18.30).

5 ოქტომბერი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩოგბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ქალთა და ვაჟთა ფინალური შეხვედრები. რეპორტაჟი ლ. მესხის საჩოგბურთო აკადემიიდან (14.00), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (19.00), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (13.15, 15.30, 20.45), ჩ/ლიგის დღიური (17.25), გერმანიის (18.25, 22.30), ესპანეთის (0.25) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მე-2 რაუნდის მატჩი (11.45, 22.55, 0.55). ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.15, 3.15), აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (18.30), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.45).

6 ოქტომბერი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი: თბილისის „იბერია" — ლატვიის „ოლიმპია". რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (20.30). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (23.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.45), მსოფლიო ფეხბურთი (19.30), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15, 21.50), ესპანეთის ჩემპიონატი (15.00, 1.35), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (16.40), იტალიის ჩემპიონატი (17.55, 23.30), ინგლისის ჩემპიონატი: „ლივერპული" — „ჩელსი" (20.00). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მე-2 რაუნდის მატჩი (11.45, 22.55, 0.50), „დიდი რინგი" (20.00), ჭადრაკი. ჩემპიონი კომპიუტერის წინააღმდეგ. ვ. კრამნიკი 22.25. ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. გრან-პრი (16.30, 17.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.15, 3.15), ველორბოლა. მსოფლიო თასი (19.15), კრივი (0.00).

# ტოკეტს ისევ თამაში სწყურია...

**ნჰლ-ს ერთ-ერთმა გამოცდილმა მოთამაშემ 38 წლის რიკ ტოკეტმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მას ჯერ არ სურს დიდი ჰოკეის მიტოვება. თუმცა როგორც ჩანს, ეს „პროცესი" ტოკეტისათვის გარდაუვალი შეიძლება აღმოჩნდეს ცოტა ხანში, რადგან ამ მოთამაშესთან კონტრაქტის გაფორმებას არც ერთი კლუბი არ ჩქარობს. ჰოკეისტის ძველმა გუნდმა „ფლაიერზმა", რომელსაც მუხლის ტრავმის გამო ტოკეტი ვერაფრით დაეხმარა გასულ სეზონში, კონტრაქტის გაგრძელება აღარ მოისურვა. თუმცა კლუბის ოფისში სამუშაოდ მიიწვიეს.**

**ჰოკეისტის თქმით, მას ჰალსტუხსა და შარვალ-კოსტიუმში ყოველდღიურ სიარულს, ისევ ციგურები და ჰოკეჯოხი ურჩევნია.**

**შეგახსენებთ, რომ რიკ ტოკეტმა 18 სეზონი გაატარა ნჰლ-ში, გამოდიოდა „ფილადელფიის", „პიტსბურგის", „ლოს-ანჯელესის", „ბოსტონის", „ვაშინგტონისა" და „ფინიქსის" შემადგენლობებში. 1992 წელს „პიტსბურგთან" ერთად სტენლის თასი მოიპოვა. ნჰლ-ში სულ 1144 მატჩი ითამაშა და 440 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, 512 საგოლე გადაცემა შეასრულა.**

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ,
„ლელოს" შეძენა ნებისმიერ დროს
შეგიძლიათ გამომცემლობა
„სამშობლოს" (კოსტავას ქ.14) წინ,
გამავრცელებელთან.
მიიღება დაკვეთაც.

## კროსვორდი № 77



თარაზულად: 1. სპორტული ნავი, 7. ილეთი განშლა რაგბში, 8. აკრობატული ნახტომი, გარვა, ანუ... 9. ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის აბრევიატურა, 10. სანახაობათა შენობა, სადაც ადრე მეტწილად მოჭიდავეთა შეჯიბრებებიც ტარდებოდა, 11. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 12. სპორტის სათამაშო სახეობა, 14. ოლიმპიური ჩემპიონი 800 მ. რბენაში 1924 და 1928 წლებში, 15. მძლეოსნური იარაღი, 16. 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 17. უნგრელი მოჭადრაკე ქალის კრამლინგის სახელი, 19. სრული მარცხი, 20. საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე.

შვეულად: 2. ქვეყანა, სადაც ჩატარდა XX საუკუნის ბოლო ოლიმპიური თამაშები, 3. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 4. ჭადრაკის ფიგურა, 5. აკრობატი, ტრიუკების შემსრულებელი კინო გადაღებებში, 6. სპორტის საწყლოსნო სახეობა, 12. ფეხბურთში კარის ზედა ძელი ანუ... 13. ცნობილი ქართველი ძიუდოისტი — ვეტერანი, 15. ფეხბურთში მცველის მოძველებული ტერმინი, 17. პროფესიონალი მოკრივე, 18. ჩოგბურთელ კურნიკოვას სახელი.

### კროსვორდი №76. პასუხები

თარაზულად: 1. კრამლინგი, 7. ათენი, 8. შუბი, 9. კეტჩი, 10.კორტი, 11.. კიი, 13. ვეა, 15. ვალდანო, 16. ოდა, 18. „ირაკლისი", 22. ვიალი, 23. სარბიელი.

შვეულად: 2. რუბენისი, 3. მატჩი, 4. გაბელია, 5. მეტრეველი, 6. ტირი, 12. მოსკოვი, 14. ათლი, 17. „აეკი", 19. რომი, 20. სალო, 21. ტუა.

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. და ს. პიმენოვები, 1929 წ.



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. a4 1. ...a6 2. a5 d4 3. ლg3X.
1. ...a5 2. მb1 მფc4 3. ლc3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე